პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1944 წ. № 250 (7203). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ჭიათურელი ბოლშევიკების ღირსების საქმე. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 12 დეკემბრის ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის გმირი დ. ი. ბაქრაძე თბილისში. (1-ლი გვერდი).

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ჩილის რესპუბლიკას შორის (1-ლი გვერდი).

უცხოეთის პრესა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების გამო. (1-ლი გვერდი).

პ. ჭიოკაძე. მეტი მარგანეცი სამშობლოს. (მე-2 გვერდი).

დ. ლაზარაშვილი. გავადიდოთ საქმენლის სულადობა და პროდუქტიულობა (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

ჭიათურელი ბოლშევიკების ღირსების საქმე

საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში დიდი გმირობა გამოიჩინა. ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მან მოიპოვა როგორც საძეღერო, ისე ეკონომიური და იდეოლოგიური გამარჯვება. ჩვენი სამშობლო საბოლოოდ და სამუდამოდ განთავისუფლებულია ჰიტლერული სიბილწისაგან!

ისტორიულ საოქტომბრო მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ **„ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა ააფრიალოს ბერლინში“.**

ამ დიდი ისტორიული მისიის შესასრულებლად მთელი საბჭოთა ხალხი მუშაობს. დიდი **სტალინის** საოქტომბრო მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს, წითელ არმიას მტრის განადგურებაში. გამოუშვან მეტი პროდუქცია, მიიღონ მეტი მოსავალი, შემოქმედებითად გამოიყენონ მეცნიერების მიღწევები მაღალხარისხოვანი საჭურველის წარმოებაში.

დიდი ბელადის ბრძნულ მოხსენებამ პირველნი გაამეხმაურეს სტალინის სახელობის ძაგინოგორსკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატისა და სტალინის სახელობის კუზნეცკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშაკები, რომლებიც მიმართვა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერსა და ტექნიკოსს. ამ მიმართვაში მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მოწინავე მეტალურგებმა ბელადის მოხსენების პასუხად მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი იკისრეს წითელი არმიის დასახმარებლად, იმიათვის, რომ ჩვენმა სახელოვანმა მებრძოლებმა საბოლოოდ გაანადგურონ ფაშისტი მხეცი და გამარჯვების დროშა ააფრიალონ ბერლინში.

ამ პატრიოტულ თაოსნობას მთელი ჩვენი ქვეყანა გამოეხმაურა. ახალი ძალით გაჩაღდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში და ტრანსპორტზე. ფაბრიკები, ქარხნები, შახტები, მაღაროები, საწარმოები და დაწესებულებები ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში და გაიჩაღეს ბრძოლა როგორც მიმდინარე სამეფურნეო წლის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ისე მომავალი 1945 წლის დავალებათა წარმატებით გასანაღდებლად.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები ეხურავლად გამოეხმაურნენ მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის მეტალურგთა პატრიოტულ ინიციატივას. მათ შორის ერთ-ერთი პირველი გამოვიდნენ ჭიათურელი მაღაროელები, რომლებმაც მთელი რიგი ახალი ვალდებულებები იკისრეს სამშობლოსათვის მეტი მარგანეცის მისაცემად. შეჯიბრებაში ჩაებნენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, მისი ქარხნები, მაღაროები და უბნები. სტალინის სახელობის მაღაროს მეოთხე უბნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის 105 პროცენტით შესრულება და შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით გაზრდა. ნოემბერ-დეკემბრის გეგმის გადამეტებით 600 ტონა მარგანეცის გამოღება იკისრა ამავე მაღაროს მეორე უბნის კოლექტივმა. ახალი ვალდებულებანი აიღეს ლენინის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებმა.

ეს არის ამხანაგ სტალინის ისტორიული საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი.

როგორ იბრძვის ჭიათურის მარგანეცის ტრესტი ამ ახალ ვალდებულებათა შესრულებისათვის?

ჭიათურის მაღაროელები თანდათან უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მუშაობას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ვინაიდან ტრესტის მუშაობაში კვლავ სერიოზულ ხაკლოვანებებს აქვს ადგილი.

ჭიათურის მაღაროების ტრესტმა მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა 82,2 პროცენტით შეასრულა. აქედან სასაქონლო პროდუქციის გამოძვების გეგმა შესრულებულ იქნა 80,1 პროცენტით. ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი შრომის ნაყოფიერების დარგშიც. მიმდინარე წლის 10 თვეში მაღაროების ხაზით შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 87,9 პროცენტით, ხოლო ქარხნებში—84,5 პროცენტით. ჩამორჩა მოსამზადებელი სამუშაოებიც. 10 თვის გეგმა შესრულებულ იქნა 81,4 პროცენტით. გაიზარდა ტონა მარგანეცის თვითღირებულება 11,6 პროცენტით.

ასეთი სურათი მოგვცა ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე.

რა მდგომარეობაა ამჟამად? როგორ ასწორებს ტრესტი ჩამორჩენას?

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იმ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი ჰქონდა 10 თვის მანძილზე, კვლავ ეხვიეთ ტრესტის მუშაობაში. მაგალითად, შრომის დისციპლინა მაღაროებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, რის გამო გრაფიკი სისტემატურად ირღვევა. ცალკეულ მაღაროებში მუშათა მოცდენები 20-25 პროცენტს აღწევს. ოქტომბერში შრომის დისციპლინა 255 კაცმა დაარღვია. ნოემბერში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 სექტემბრის დადგენილებაში დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ტრესტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მითითებული იყო, რომ უნარიანად გამოიყენებინათ მიწისქვეშა მექანიზმები, ბოლო მოეღოთ ამ მექანიზმებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულებისათვის. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ შახტის მიწისქვეშა მექანიზმები კვლავ არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული, კვლავ ადგილი აქვს მექანიზმებისადმი უზრუნველ დამოკიდებულებას. სათანადო სიმაღლეზე არ დგას მუშათა ტექნიკური მომზადების საქმე. მიუხედავად იმისა, რომ კურსების მეცადინეობის გეგმები სრულდება, „მომზადებულ“ მუშათა კვალიფიკაცია ისევ დაბალია.

ტრესტმა დღემდე ვერ მოაგვარა ელექტრობურღებითა და სხვა დამხმარე მასალებით მაღაროების უზრუნველყოფის საქმე. 24 ელექტრობურღის ნაცვლად ეს ამჟამად მხოლოდ 16 აქვთ და აქედანაც 5-6 მუდამ შეკეთებაშია. მთელ რიგ ქარხნებს აკლიათ დამხმარე მასალები, მაგალითად, სარეცხი ცხრილები და სხვ.

მარგანეცის გეგმის შეუსრულებლობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ნაკლები ზრუნვა. როგორც სჩანს, ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და სასადილოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ასეთია ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან და აბრკოლებენ მეტი მარგანეცისათვის ბრძოლას.

მარგანეცი დიდი რაოდენობით ესაჭიროებათ ჩვენს მეტალურგიულ ქარხნებს. ჭიათურელი ბოლშევიკები, პარტიული, პროფესიული, კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ქვეყანას მისცენ რაც შეიძლება მეტი მარგანეცი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო მოეღოთ არსებულ ნაკლოვანებებს ტრესტის მუშაობაში, გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება, დავრაზმოთ მთელი ძალები მარგანეცის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ჭიათურელი ბოლშევიკების ღირსების საქმეა სათავეში ჩაუდგნენ მეტი მარგანეცისათვის ბრძოლას. მისცენ სამშობლოს იმდენი პროდუქცია, რამდენიც საჭიროა ვერაგ მტერზე ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

12 დეკემბრის განმავლობაში უნგრეთის, ქალაქ მიშკოლცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და შახტა-მაღაროების რაიონი — ქალაქი შაიო-სენტ-პეტერი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ხაინალოში, ხედმეზი, დამაკი, ზილიზი, სირაკი, კოკა

მეჯი მარგანეცი სამშობლოს!

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ჩვენი სამშობლოს მძლავრი მეტალურგიული ქარხნები მეტ და მაღალხარისხოვან მარგანეცს მოითხოვენ. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჭიათურული ბოლშევიკების პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე. მართალია, მარგანეცის გამოღება და სასაქონლო პროდუქციის დამზადება ამ ბოლო დროს თვიდან თვემდე იზრდება, მაგრამ ჭიათურა მაინც ვერ ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ამას მოწმობენ სამეურნეო წლის ათი თვის შედეგები. ტრესტმა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ათი თვის გეგმა საგრძნობი დანაკლისით შეასრულა. ათ თვეში ჭიათურამ ქვეყანას დააკლო 97.432 ტონა მარგანეცი. ნოემბერში დავალება ვერც ერთმა მაღაროამ ვერ შეასრულა. ჩამორჩა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროა, როშელიც წინათ მოწინავე იყო. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროები.

დაბალია შრომის ნაყოფიერება როგორც მაღაროებში, ისე გამამდიდრებელ ქარხნებში. ათი თვის მანძილზე მაღაროებში შრომის ნაყოფიერების გეგმა მხოლოდ 84,9 პროცენტით შესრულდა, ქარხნებში კი 84,5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ათი თვის გეგმა მხოლოდ ჰიროსიდების გამამდიდრებელმა ქარხანამ (გამგე ალ. მოდებაძე) შეასრულა. საგრძნობლად გადიდდა პროდუქციის თვითღირებულებაც. მიმდინარე წლის მხოლოდ 9 თვეში გადაიხარჯა 2.391.000 მანეთი.

მარგანეცის მრეწველობის ჩამორჩენა გამოწვეულია ზოგი დეფიციტური მასალის ნაკლებობით, მექანიზმების არასათანადოდ გამოყენებით, შრომის მოუწესრიგებლობით და დისციპლინის სისუსტით. ამასთან მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები სათანადოდ არ არის მოგვარებული, ფართოდ არ იყენებენ შრომის სოციალისტურ ფორმებს, ნაკლები ყურადღება ეძღვნება წარმოების ნოვატორებს.

მართალია, მარგანეცის მრეწველობას კვლავ აქვს ზოგი მასალის მიღების სიძნელე, მაგრამ წინა თვეებთან შედარებით მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა, რაც გეგმების შესრულებას ჯერჯერობით მაინც ვერ დაეტყო. ახლა მთავარი ის არის, რომ მარგანეცის მაღაროებმა ხელმძღვანელობა ავაკაცით გამოიყენონ არსებული შეუძლებლობები, მთელი რესურსები.

მარგანეცის გამოღების გადიდებაა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრ ფაქტორს მექანიზმები წარმოადგენენ. ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში მექანიზმებით მუშაობის დანერგვასა და ფართოდ გამოყენებაზე არსებობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1943 წლის 13 სექტემბრის დადგენილება, მაგრამ მისი განხორციელებისათვის სუსტად იბრძვიან. ამ მაღაროებში ყველა მექანიზმს ვერ იყენებენ, ხოლო რაც გამოყენებულია, სრული დატვირთვით არ მუშაობს.

საბურღი მანქანები და ელექტრობურღები, რომლებიც თითქმის მთლიანად სწყვეტენ მარგანეცის მონგრევის ბეღს, ხშირად ხმარებიდან გამოდიან მომუშავე პერსონალის არაგულსხმიერების შედეგად. იშვიათი როდია ხეიების გადაწვის შემთხვევები, რაც გამოწვეულია მექანიზმზე მომუშავის დაუკვირვებელი მუშაობით, მის მიერ ბურღის წინსვლის არაწესიერი რეგულირებით.

დამტვირთველი მექანიზმების — სკრეპერებისა და „ეიმკოტის“ არარენტაბელური მუშაობა იქით აიხსნება, რომ ლავები წესიერად არ მზადდება, სანგრევებზე არ იყენებენ საყელაზ მანქანებს, ისინი თავის დროზე არ გადააქვთ ერთი სანგრევიდან მეორეზე.

სრული დატვირთვით არც ელექტრომავლები მუშაობენ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მაღაროში რკინიგზებს ცუდად აგებენ, დროულად არ უკეთებენ რემონტს. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში რკინიგზები წყლითა და ტალახით არის სავსე. თუ ამას დავემატებთ მომანქანეთა დაუდეგარ მუშაობას (ჩავარდნილი ვაგონეტების ელმავლით ლიანდაგზე დაყენება, სილის გამოუყენებლობა და სხვ.), ადვილი გასაგები იქნება ელმავლების დაბალი წარმადობა.

სუსტია მეთვალყურეობა და კონტროლი მექანიზმების ნორმალურ მუშაობაზე, მათ არ უკეთდება წინასწარი რემონტი. ხშირად მექანიზმის დათვალიერება მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას რომელიმე ნაწილი გაუფუჭდება.

ცუდად მუშაობენ მარგანეცის გამამდიდრებელი ქარხნებიც. გარდა პიროჭსიდების გამამდიდრებელი ქარხნისა, ისინი ვერ ასრულებენ ვერც ერთ ტექნიკურ მაჩვენებელს, ვერ იცავენ გამოსავლისა და მადნიდან ლითონის ამოკრების დაწესებულ გეგმებს. ტექნოლოგიური პროცესის დარღვევით და დანადგარების ცუდი რემონტით აიხსნება დანაკარგების დიდი პროცენტიც.

შრომის ცუდი ორგანიზაცია, სანგრევების მოუწყობლობა, გრაფიკის დარღვევა იწვევს მუშათა ხშირ მოცდენას. ისეთი წამყვანი კვალიფიკაციის მუშები, როგორიც არიან ამწენდები, მბურღავები, გამგორებლები, მებიგეები—საათობით ცდებიან. ოქტომბერში ამწენდების მოცდენა შეადგენდა სამუშაო დროის 25 პროცენტს, მბურღავებისა — 26 პროცენტს, გამგორებლებისა — 30 პროცენტს, მებიგეებისა — 25,2 პროცენტს. სწორედ ამის შედეგია, რომ ბევრი მუშა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გამომუშავების დადგენილ ნორმებს. მაგალითად, სექტემბერში ვეგმა ვერ შეასრულა 525, ხოლო ოქტომბერში — 724 კაცმა.

ბევრია გასაკეთებელი წარმოებაში ახალმოსული მუშების აღზრდისათვის. ეს თანაბრად ეხება მათ ტექნიკურ სწავლებას, იდეოლოგიურ აღზრდას. ახალმოსული მუშები განსაკუთრებულ გულისხმიერებას და მზრუნველობას უნდა გრძნობდნენ. მაგრამ ზოგჯერ მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს არ უქმნიან. ხშირად ძნელი სამუშაოს შესასრულებლად სწორედ წარმოებაში ახალმოსულ გამოუცდელ ახალგაზრდას გზავნიან.

ახალმოსულთა საკმაო რაოდენობა ჯერ კიდევ ფრ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ არ აკნობენ წარმოების მოწინავე ადამიანთა მდიდარ საწარმოო გამოცდილებას. ახალმოსულთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდებია. მათი აღზრდა კომკავშირის ღვიძლი საქმეა, მაგრამ ამ მიმართულებით კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს.

წელს მარგანეცის მაღაროებში 166 რაციონალური წინადადება შემოვიდა, აქედან 81 განხორციელდა. მარგალიტესტში არსებობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურო. მის უფროსს ამხ. ვ. მოისწრაფეშვილს ძნელად დაარწმუნებს კაცი, რომ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში მას ყველაფერი რიგზე არა აქვს, რომ წარმოების ნოვატორებთან სუსტად მუშაობენ. ამით აიხსნება შემოსულ წინადადებათა ნაკლები საწარმოო ეფექტიანობა. ჩვენ გვესმის, რომ ეს დიდი საქმე მარტო ამხ. მოისწრაფეშვილს ოფი ეხება. ეს მაღაროთა პარტიულ-სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის განუყოფელი ნაწილია. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ამ საქმისათვის ცოტას ზრუნავენ, არ იყენებენ მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას.

ზოგიერთმა სამეურნეო ხელმძღვანელმა კარგად ვერ გაიგო, რომ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება პრაქტიკულად მოქმედებს მარგანეცის გამოღების გადიდებაზე, რომ მუშათა საცხოვრებლიდან თუ სასადილოდან პირდაპირი ძაფია გაბმული სანგრევამდე, ლავამდე, სადაც წყდება გეგმის შესრულების ბედი. სტალინის, კაგანოვიჩის, ლენინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა მუშების საერთო საცხოვრებლები მოიწესრიგებელია. არ სწმენდენ იატაკს, არ რეცხავენ თეთრეულს. საკმაოდ არ არის მაგიდები, სკამები, წყლის ჭურჭელი, კარადები, ბევრგან მუშათა ბინების სახურავში წყალი ჩამოდის. ხშირად სპეცტანსაცმელს პირდაპირი დანიშნულებით არ იყენებენ.

ნაკლოვანებანი სასადილოების მუშაობაშიც არის. პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ უსუფთაობა და ზომა-წონაში მოტყუება. ადგილი აქვს კუთვნილი პროდუქტების დაკლებას. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება ზოგჯერ ხელს აფარებს დამწაბავეს. აქ დაუსჯელად არიან გამფლანგველები, მიუხედავად არაერთგზისი მითითებისა, მუშათა მომარაგების განყოფილების ხელმძღვანელები თავს იმართლებენ: რა ვქნათ, ისინი რომ მოვხსნათ, სამაგიერო კადრები არა გვყავსო.

საყოფაცხოვრებო პირობების სათანადოდ მოუგვარებლობა პირდაპირ მოქმედებს მუშათა დენდობაზე, შრომის დისციპლინაზე. მაღაროების დირექტორებმა შემოიღეს ვგრეთწოდებული „უფასო შვებულებები“, რაც ზარდის დისციპლინის დამრღვევთა რიცხვს. ამას გარდა, მაღაროთა ხელმძღვანელები ზოგჯერ პასუხისგებაში ისე აძლევენ მუშას, რომ კარგად არ ამოწმებენ საქმის ვითარებას, ხოლო ნამდვილ დამნაშავეებს სასამართლოს გადასცემენ ხოლმე დაგვიანებით, ხშირად თვის ბოლოს.

შრომის დისციპლინის დამრღვევთა საქმის გარჩევისას დამახინჯებებსაც აქვს ადგილი. მაგალითად, ჭიათურის პირველი უბნის სასამართლომ ერთ დანაშაულზე ორი სასჯელი დაადო. აგრეთვე იძულებითი მუშაობა მიუსაჯა იმ ადამიანს, რომელსაც სამუშაო არ გაუცდენია. ეს ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

ამ საკითხებზე ხშირად მსჯელობენ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები, იწერება დადგენილებები, ბრძანებები, მაგრამ საჭიროა ისინი შესრულდეს, თორემ უამისოდ რა ფაი აქვს თუგინდ ძალიან კარგ დადგენილებასა და ბრძანებას?

* * *

დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების, აგრეთვე ურალელ მეტალურგთა მოწოდების საპასუხოდ ჭიათურელმა მაღაროელებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს. სტალინის სახელობის მაღაროს მეექვსე უბანი, კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მეორე და მეოთხე უბნები, ქარხანა № 32 პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მაგრამ მთლიანად ტრესტი ჩამორჩენილია.

ჭიათურელმა მაღაროელებმა გადაჭრით უნდა გააიდიოდ მარგანეცის გამოღება. მიგცეთ ფრონტსა და სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი მარგანეცი—ეს არის ჭიათურელთა პირველი ლოგის საბრძოლო ამოცანა.

ჯ. ჭიოკაძე

მრეწველობის აღდგენა პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე

ლიუბლინი, 12 დეკემბერი. (საკდესი). პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მრეწველობის განყოფილების ხელმძღვანელმა და ეკონომიური სექციის თავმჯდომარემ მინცმა განაცხადა, როგორ მიმდინარეობს მუშაობა მრეწველობის აღსადგენად პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

— გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა, — სთქვა მინცმა, — წითელი არმიის დარტყმებით უკანდახევისას ნანგრევებად აქციეს პოლონეთის ამჟამად განთავისუფლებული ტერიტორიის სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილი. განსაკუთრებით დიდი ნგრევა განიცადა ენერგეტიკულმა მეურნეობამ. ერთადერთი შედარებით დაუზიანებელი ელექტროსადგური მარტო ლიუბლინში დარჩა.

პოლონელი პატრიოტები თავდადებულად შეუდგნენ დანგრეული მრეწველობის აღდგენას.

გერმანელი ბოროტმოქმედნი უკანდახევისას შეეცადნენ დაენგრიათ ნავთსარეწები და ნავთსახდელი ქარხნები. მუშებმა შესძლეს დაემალათ და მიწაში ჩაფვლით შეენახათ ნავთის საწარმოთა ბევრი საპასუხისმგებლო დეტალი და მთელი აგრეგატები. ამჟამად ამ შენახული მოწყობილობის მეოხებით ნავთის მრეწველობა იძლევა დაგეგმილი ამოღების 75-მდე პროცენტს და მთლიანად უზრუნველყოფს პოლონეთის განთავისუფლებული ტერიტორიის საჭიროებას. სწარმოებს 32 ახალი ნავთის ჭის ბურღვა. აღმოჩენილია ნავთის ახალი რაიონი, რომელიც გაორკეცებს ნავთის ამოღებას.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დეკრეტით სამრეწველო საწარმოები, რომლებიც გერმანელი მფლობელების ხელში იმყოფებოდა, აგრეთვე უმეთვალყურეო საწარმოები და ყველა შაქრის ქარხანა სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ამჟამად უკვე აღდგენილია და მუშაობს ხუთი შაქრის ქარხანა. ამუშავდა აგრეთვე 90 სპირტისა და არყის საწარმო. აღდგენის პროცესშია შუშისა და კვების მრეწველობა, ამუშავდება ელექტროსადგურები.

გავაღიდოთ საქონლის სულადობა და პროდუქციულობა

ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებასა და ბრძანებას თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობები ახალი შეიერნეობის სხვა დარგებთან ერთად კოლმეურნეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ყოველწლიურად იზრდება პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. 1941 წლიდან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 777-ით, ცხვრისა და თხის — 12,797-ით. წლიური სახელმწიფო გეგმები ვადამდე შესრულდა. მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ღორი და ცხენი მოშენებულია გეგმის დიდი გადაჭარბებით.

სადაც კარგად დაიყენეს პარტიულ-მასობრივი მუშაობა, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ზუსტად ახორციელებენ ზოოვეტერინარულ წესებს, იქ შედეგებიც კარგი მიიღეს. მაგალითად, სოფელ კონსტანტინოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბედიაევი) გადამეტებით შეასრულა არა მარტო სულადობის ზრდის, არამედ რძის მიღების გეგმაც. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.200 ლიტრის ნაცვლად კოლმეურნეობამ მიიღო 1.500 ლიტრი რძე.

მეცხოველეობის დარგში კარგი მაჩვენებლები აქვთ დაღეთ-ხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. თაზხაგულოვი), ივანოვკის კოლმეურნეობა „ემბროსს“ (თავმჯდომარე ამხ. ტოპუზისი), სოფელ კოდის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. დალაქიშვილი), საღრაშენის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ცქრიალაძე), ჩხეჭეთის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ბაიდარაშვილი), მაწეენის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. სხირტლაძე) კოლმეურნეობებს.

ცალკეულ კოლმეურნეობებში ჩამორჩენაც არის. სოფელ ზიმოვნიკის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას გეგმით გათვალისწინებული 8 ძროხის ნაცვლად 4 ძროხა ჰყავს, ნაოსარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს 9 ძროხა, გეგმით გათვალისწინებული 12-ის ნაცვლად. მსგავსი მდგომარეობაა მენკალისის კოლმეურნეობაშიც.

მოწინავე კოლმეურნეობები სანიმუშოდ მოემზადნენ ზამთრისათვის, დროზე შეაკეთეს პირუტყვის ბინები და გაუკეთეს დეზინფექცია, საკმაოდ მიზიდეს საკვები საზამთრო სადგომებთან, უხეში საკვების დაგროვების რაიონული გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, დაილისებისა კი 108 პროცენტით.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში კარგი მუშაობით გამოიჩინეს თავი კოდის ბაქრაძის სახელობის (ფერმის გამგე ამხ. კვიაცაძე), მანგლისის ბუდიონისა და ვორონეშოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ ბოგვის კოლმეურნეობა „შრომას“ კიდევ აკლია 28,7 ტონა თივა, იფნარის კოლმეურნეობა „ახალ გზას“ — 22,5 ტონა. თხინვალის კოლმეურნეობა „ახალ გზას“ პირუტყვის სადგომი კარგად არ შეუკეთებია. პირუტყვის სადგომების მშენებლობა დაუმთავრებელია საარაშენის, ფარცხისისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ბაკიკაძე) წელს ცუდი მოვლის შედეგად 20 ცხენი მოუკვდა. აქ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადება და პირუტყვის წესიერი მოვლა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის აუცილებელი პირობაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობების გამგეობებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სასწრაფოდ დაამთავრონ მზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის, ბინების მოსამზადებლად მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალა, შეიძინონ ფერმებისათვის საჭირო ინვენტარი, საკმაო რაოდენობით მიზიდონ საქონელი; ბინებიან უხეში საკვები და აქტით ჩაბარონ ფერმების გამგეებს.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ საკვების წესიერად ხარჯვას. სიგანაფიფოლო თესვის პერიოდისათვის უნდა გამოვყოთ მუშა საქონელი, საკვების ხელუხლებელი ფონდი, საჭირო ბაგურ კვებაზე გადასვლის წინ შეეამოწმოთ ძოელი პირუტყვი. სუსტი და ავადმყოფი საქონელი გაძლიერებულ კვებაზე გადაეყვანოთ, პირუტყვი აქტით ჩაეგბაროთ მომვლელებს, გავაუმჯობესოთ ზოოვეტერინარული მომსახურება.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებს ყველა პირობა მოეპოვებათ პირუტყვის მოვლის შემდგომი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, მეცხოველეობის მუშაკების საბრძოლო ამოცანაა მიაღწიონ ახალ წარმატებებს მეცხოველეობაში, მისცენ ფრონტსა და ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტი.

დ. ლაზარაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი

გეგმების შესრულება

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოშენების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. მათ შორის ხარებისა — 100 პროცენტით, ძროხებისა—104 პროცენტით, წვრილფეხა საქონლისა — 100,2 პროცენტით.

პირუტყვისათვის უხეში საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. საკვების მთელი მარაგი მიზიდულია მეცხოველეობის საზამთრო სადგომებთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ქვარაცხელია
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალანდია

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოშენების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით; ღორებისა — 100,3 პროცენტით, ცხენებისა — 104 პროცენტით.

უხეში საკვები დამზადებულია 130.300 ცენტნერი.

საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ცანავა
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნადარეიშვილი

არქეოლოგიური გათხრები მცხეთაში



მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიმდინარე წელს დაიწყო საქართველოს ძველი დედაქალაქის აკროპოლის გათხრები. გათხრებმა დაადასტურა აკროპოლის არსებობა ბაგინთის მიდამოებში — არაგვისა და მტკვრის შესართავთან, უკანასკნელის მარჯვენა ნაპირზე. ბაგინთის მიდამოებში დადასტურდა ერთსა და იმავე ადგილას, მაგრამ ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს სამი ქალაქის არსებობა. ყველაზე უძველესი ქალაქი ძველ წელთაღრიცხვის II საუკუნეზე ადრინდელია. გათხრილ იქნა აკროპოლის კედლები და სასახლის ტიპის არქიტექტურული ხელოვნებით აგებული შენობები.

სურათზე: ბაგინთის პირველი უბანი, სასახლის ტიპის ნაგებობის ჩრდილოეთი შესასვლელი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისა.

ოქროს დიადემა და მისი ნაწილები ქართლის ერისთავთა სასაფლაოდან. ოქროს ბალთები მოქედილია ძვირფასი თვლებით და ოქრომჭედლური ხელოვნების განუმეორებელ ძეგლს წარმოადგენს. ძვირფასი თვლებითაა მოქედილი ღილ-სამკაულებიც.

სურათზე: ოქროს დიადემა ნაწილებითა და სამკაულებითურთ ასპაგრუკ პატიახშის საგარიდან. არმაზი.

დღეიდან ფრონტზე

საომარი მოქმედება დასავლეთ გერმანიაში

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები წინ მიიწევენ მდინარე რურისაკენ იულიხის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ქუჩის ბრძოლებს ეწევიან ჰერეში. მოწინავე რაზმებმა მერკემს მიაღწიეს. ბრძოლები ქალაქ გეიში. მოკავშირეებმა შტრასი დაიკავეს.

დილინგენისა და საარლაუტერნის რაიონში მოგერიებულია მტრის რამდენიმე აგენლობრივი კონტრიერიში მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრის წინააღმდეგ მდინარე საარზე. გრძელდება მოწინააღმდეგისაგან საარგემიუნდის გაწმენდა. ამ ქალაქის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა ბლისბრიუკენს მიაღწიეს. მოკავშირეებმა წინ წაიწიეს საარგემიუნდის სამხრეთ-აღმოსავლეთით და რიმლინგენიდან ერთ მილზე იმყოფებიან. ქალაქი ჰაგენაუ, რომელიც მოკავშირეთა ხელშია, სნაიპერებისაგან იწმინდება. კოორდინებული იერიშის შედეგად მოკავშირეებმა მიაღწიეს ვალტუფგუ — ამ ქალაქის ჩრდილოეთით და სუფლენჰაიმის სამხრეთ გარეუბნებს — აღმოსავლეთით.

ვოგეზებში, აგრეთვე ტანის მახლობლად აღნიშნულია ახალი წინსვლა.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი გაფუჭებული თავდასხმები მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე.

ლონდონი, 12 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 და მე-8 არმიების ნაწილების ოპერაციები პატრულების მოქმედებით განსახორციელებლად.

ინგლისის მძიმე ბომბდამშენების შენაერთები გუშინ თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებს ვენის რაიონში და გრაცში (ავსტრია), აგრეთვე ფართო ოპერაციებს აწარმოებდნენ იუგოსლავიაში.

„ფინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირის“ დეკლარაცია

ჰელსინკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ამ დღეებში შეიქმნა ფინეთის ქალთა საორგანიზაციო კრება, რომელიც მოიწვია „ფინეთის ხალხის დემოკრატიულმა კავშირმა“. კრებას ესწრებოდა ჰელსინკისა და პროვინციის ქალი. ბევრი წარმომადგენელი. კრებამ დიდი აღტაცებით ჩაიარა. გადასწყდა შეჰქმნან „ფინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირი“ და შეუერთდნენ „ფინეთის ხალხის დემოკრატიულ კავშირს“. განხორციელდა მთელი ფინეთის ქალთა კონფერენციის მოწვევა.

ახალი კავშირი ამოცანად ისახავს ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის გახსნა

ლონდონი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთო გადმოგვცემს, დღეს ლონდონში გაიხსნა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია, რომელსაც თავმჯდომარეობს ელენ უილკინსონი ამჟამად ადადარის; მისი სახელით კონფერენცია გახსნა პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ჰაროლდ ლასკიმ. შეეხო რა ლეიბორისტული პარტიის ამოცანებს, ლასკიმ განაცხადა, რომ ლეიბორისტთა მოვალეობაა მხარი დაუჭიროს ჩერჩილს „მანამდე, სანამ ევროპაში მტკიცე და სრული გამარჯვება არ იქნება მოპოვებული“. ინგლისის პარლამენტის მომავალ საყოველთაო არჩევნებში, თქვა ლასკიმ, ლეიბორისტული პარტია ეცდება მანდატის მიღებას.

ლასკის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოცხადდა, რომ ლეიბორისტული პარტიის აღმასკომი შეიკრიბება საბერძნეთის საკითხზე საგანგებო რეზოლუციის შესადგენად. განზრახულია რეზოლუცია განსახილველად წარედგინოს კონფერენციას.

კონსტანტინე ბერძენიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილი.

კ. ბერძენიშვილი დაბადა 1889 წელს სოფელ გოგოლეთისუბანში (ჩოხატაურის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. 1925 წელს დამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რის შემდეგ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ჯერ როგორც სოფ. კულაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, შემდეგ—ახალციხეკოვან კულტურათა საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის საცდელი სადგურის ხელმძღვანელი (სოფელ კვაბენარში), მერმე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სართავ კულტურათა საგნის ლექტორი, შემდეგ რამის უფროსი აგრონომი საქართველოს სს რესპუბლიკის მიწასახელმწიფო და ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.

კ. ბერძენიშვილი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, დაუღალავად მუშაობდა კვლევით დარგში და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

კოტეს ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის ამხანაგებსა და თანამშრომლებს შორის.

ს. ხოშტარია, გ. ალავიძე, ა. ბუჩუკური, ნ. კეცხოველი, ტ. ქვარაცხელია, ბ. იაკობაშვილი, ა. თოფურია, გ. რუხაია, ლ. კალანდაძე, გ. ცქიტიშვილი, თ. კეშელავა, მ. ტაბლიაშვილი, მ. დოლაბერიძე, დ. ცქიტიშვილი, რ. დოღლანიძე, ა. კარტოზია, ე. ჯიქია, ნ. ლაშეულიანი, ე. სვანაძე, ა. მენაღარაშვილი, ა. გოგნიაშვილი და შ. თავდიშვილი.

ლექცია

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შეადგება პროფესორ კ. ბაქრაძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი.

შესვლა თავისუფალია.

სემინარი

14 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შეადგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

სემინარს ჩაატარებენ ამხ. გორგილაძე (ქართულ ენაზე) და ამხ. გეგეშიძე (რუსულ ენაზე).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 13/XII — „ტოსკა“. 14/XII — „კაკო ყაჩაღი“. რუსთაველის სახელობის — 13/XII — „უდანაშაულო დამნაშავენი“, 14/XII — „ოტელო“. მარჯანიშვილის სახელობის — 13/XII — „ეამმაბერის ასული“, 14/XII — „მარგარიტა გოტიე“. გრიბოედოვის სახელობის — 13/XII—„ფლტის ოფიცერი“, 14/XII — „უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური — 13/XII — „სომხის ქალი“, 14/XII — „ვარაზდატ“ ახუნდოვის სახელობის — 13/XII—„საგანგებო კანონი“, 14/XII — „ვერაგობა და სიყვარული“. მუსიკალური კომედიის — 13/XII — „ოქროს გასაღები“, 14/XII — „მზის დაბნელება“. სანკულტურის — 14/XII — „სტუმარ-მასპინძლობა“. მოზარდ მაყურებელთა ქართული — 13, 14/XII — „ფარაონელი ჭაბუკი“. სომხური — 14/XII — „შეხვედრა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 27 დეკემბერს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ივანე ისიდორეს-ძე შილაკაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სომხური ენის ბამშენური კილო“.
ოფიციალური ოპონენტები აკადემიკოსი ა. შანიძე, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი არ. მარტიროსოვი.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე სიმონ დიმიტრის-ძე ქასილოვმა, მცხოვრებმა ხევის ქ. № 1, აღძრა საქმე ნავთლუღში, მე-2 კორპუსში მცხოვრებ მოქალაქე ნინო ვლადიმერის-ასულ კასილოვასთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

ქოტე, ნინო კობახიძეები, ლენა ბაქრაძე, ცუცა ანთაძე, აკაკი ბოკუჩავა იუწყებიან ექიმ ნინო ოქროპირიძის ძმის გოგი ოქროპირიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან კონსტანტინე ბერძენიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16/XII, 7 ს. გამოსვენება 17/XII, 2 ს. ზოოტექნიკური, 16 (ეკკე).

ტ. ქვარაცხელია, ცქიტიშვილი, კეშელავა, ტაბლიაშვილი, სვანაძე, მენაღარაშვილი, გოგნიაშვილი, ქურდო